**გაკვეთილის გეგმის**

**მასწავლებლის სახელი , გვარი : ლალი ხუციშვილი**

**პირადი ნომერი : 01001052722**

**საგანი : ქართული ენა და ლიტერატურა**

**სწავლებლის საფეხური /კლასი : 7 კლასი**

**მოსწავლეთა რაოდენობა : 29**

**გაკვეთილის თემა : ამირან ჭიჭინაძე ,, სუფლიორი ‘‘**

**გაკვეთილის მიზანი : მოსწავლემ შეძლოს:**

- **ნაწარმოების სათაურისა და მთლიანი ტექსტის გააზრება;**
- **ტექსტის ეპიზოდებად დამუშავება:**
- **პერსონაჟთა მხატვრული სახის აღწერა ( წერითი უნარების განვითარებისთვის მზადება) ტექსტიდან სხვადასხვა ამონარიდის საფუძველზე მოსწავლეები შეაფასებენ ხასიათის თვისებებს.**
- **პრობელმის ანალიზი და პრეზენტაცია _ (მოსწავლეები გაიაზრებენ ამ ეპიზოდს და ზეპირი პრეზენტაციის სახით ისაუბრებენ მოცემულ ტექსტის მთვარ სათქმელსა და თავიანთ დამოკიდებულებაზე);**

**გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან :**

საბაზო საფეხურზე ესგ-ში აუცილებელი შესასწავლი ნაწარმოებებისა და 7 კლასის სახელმძღვანელოში მოცემული პროგრამის (სახელმძღვანელო აგებულია ქრონოლოგიური პრინციპით; სახელმძღვანელოს როდონაია,ნაკუდაშვილი, ხუციშვილი) შეჯერებით ლიტერატურული ნაწარმოებები ასახული და გაწერილია საგაკვეთილო თემებად ჩემს კალენდარულ გეგმაში.

გაკვეთილის მიზნები ითვალისწინებს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს, რომლებიც დეტალურადაა გაწერილი ინდიკატორებში. მაგალითად, ამ გაკვეთილზე ჩემი მიზანია კითხვის სტრატეგიები, **პრეზენტაციის უნარის** შემოწმება-შეფასება, რომლებიც მოცემულია ესგ-ს წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებში: **ქართ. 7. 1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის ამოცნობა გააზრება**(რაც ითვალისწინებს კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარებას)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები კლასში არ არიან.

| N | აქტივობის მიზანი და აღწერა | გამოყენებული მეთოდი / მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა / ფორმები | სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილება სასწავლო მიზანთან მიმართებით) | დრო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოსწავლეები გაეცნობიან წინასწარ გაკვეთილის მიზანს, აქტივობებს, აქტივობების დროს კლასის ორგანიზებისა და შეფასების ფორმებს. ასეთი ტიპის ინფორმაცია ხელს შეუწყობს საგაკვეთილო პროცესისათვის მზაობასა და ჩართულობის ხარისხს. | მინილექცია | ინდივიდუალური | | 3 წთ. |
| 2 | ვინაიდან, სათაური თავისებური გასაღებია ნაწარმოებისა, რომელმაც უნდა გაუადვილოს მკითხველს შემოქმედების ლაბირინთში შესვლა და მას ევალება ნაწარმოების არა მხოლოდ თემაზე, არამედ ავტორის პოზიციაზე მინიშნება, აუდიტორიის დაინტერესება-მიზიდვა, ამიტომ მოსწავლეთა პროვოცირების მიზნით მასწავლებელი საუბარს იწყებს მთლიანი ტექსტის სათაურზე და შეკითხვათა სახეების გამოყენებით მოსწავლეები ამოიცნობენ სავარაუდო თემას, ავტორის დამოკიდებულებას სრული ტექსტის | გონებრივი იერიში; ვარაუდების გამოთქმა. | მთელი კლასი | სამუშაო რვეული, სახელმძღვანელო, კალამი. | 7 წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | წაკითხვამდე. როგორ შეიძლება სათაურმა მიგახვედროს სიუჟეტს და რას გულისხმობს ავტორი ,როდესაც ამ ნაწარმოებს ,, სუფლიორი უწოდა. მოსწავლეები საუბრობენ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, მათ სათაურებზე და სათაურებიდან გამომდინარე შინაარსზე. ამის შემდეგ, კი ისინი საუბრობენ თავის შთაბეჭდილებებზე სავარაუდო კითხვების საფუძველზე.<br>სავარაუდო კითხვები:<br>1. **ხომ ვერ გაიხსენებდით მაგალითისთვის რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების ან თუნდაც ფილმის სათაურს, სადაც პირველ სიყვარულზეა საუბარი?**<br>2. **რა იყო ამ სათაურში მნიშვნელოვანი ?**<br><br>**რაზე მიგვანიშნებს სიტყვა პანტონიმა, ვიტრუოზები.**<br>„<br>**რისი თქმა უნდა ამით ავტორს, როდესაც რეზიკოს საოცრად ახასიათებს და სალომეს კი მკითხველისთვის ტოვებს ამოსაცნობად?**<br>**ავტორისთვის რას/ვის ჰქონია მნიშვნელობა?**<br>ეს აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ამოიცნონ ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟის | გონებრივი იერიში, ვარაუდების გამოთქმა ლოგიკური აზროვნება, მიღებული ინფორმაციის გააზრება. | მთელი კლასი | ფორმატები.<br><br>სამუშაო რვეული, სახელმძღვანელო, კალამი. | 10წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მიმართ და გამოთქვან ვარაუდი.<br>აქტივობა-,,დეზინფორმატორი" და ჯეშმარიტია თუ მცდარი?<br>აქტივობა-,,სიტყვების რბოლა " | | | | |
| 4 | ტექსტის ეპიზოდებად დამუშავება; (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე პრინციპით) ჯგუფების შექმნა, დავალების განაწილება და ტექსტის ეპიზოდურად დაყოფა. (4 ჯგუფი) ჯგუფები მუშაობენ მიცემულ დავალებაზე, დაამუშავებენ თეზისებად პერსობაჟთა თვისებებს და გააკეთებენ პრეზენტაციას მოცემული ეპიზოდიდან გამომდინარე.<br><br>**პერსონაჟთა მხატვრული სახე:**<br>➢ რა თვისებები მოჩანს მოცემულ ტექსტში?<br>➢ თქვენი აზრით, რა განსაზღვავს პიროვნების ღირსებას სხვების თვალში? რატომ იყო რეზიკო ყველასთვის პატივსაცემი?<br>➢ რა თვისების მიხედვით არის საინტერესო პერსონაჟი?<br>➢ პერსონაჟი, რომელთანაც სიამოვნებით ვიმეგობრებდი? ან | დემონსტრირების მეთოდი; ტექსტზე მუშაობის მეთოდი | ჯგუფური | ფორმატი, თაბახის ფურცლები, მარკერები;<br>ფორმატზე თეზისებად ჩამოიწერება პერსონაჟთა ხასიათის თვისებები. | 12 წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | არასოდეს<br>ვიმეგობრებდი?<br><br>ასეთი ტიპის აქტივობა ხელს შეუწყობს წერითი, მეტყველების უნარების განმტკიცება-გაღრმავებას და ტექსტის მართებულად სტრუქტურირებას.<br>მოსწავლეები ამ აქტივობისას შეფასდებიან საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის კრიტერიუმის საფუძველზე (იხ. **დანართი1**); | | | | |
| 5 | **მეორე ეპიზოდი** _<br>პირველი სიყვარული ნაწარმოებიდან!<br>თითოეული ჯგუფი მუშაობს მოცემულ დავალებაზე, აკეთებენ დასკვნას და პრეზენტაციას აუდიტორიის წინაშე '<br>ასეთი ტიპის აქტივობა ხელს შეუწყობს თანმიმიმდევრულ მსჯელობას, ავტორის პოზიციისა და საკუთარი პოზიციის მსგავსება/განსხვავებას.<br>**მიზანი - ცოდნის კონსტრუირება**<br>მოსწავლეები ამ აქტივობისას შეფასდებიან მსჯელობის უნარის შეფასების კრიტერიუმის საფუძველზე (იხ. **დანართი 2**).<br><br>**გაკვეთილის შეჯამება:** | პრეზენტაცია<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>კითხვა-პასუხის მეთოდი | ჯგუფური<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>მთელი კლასი | ფორმატი, მარკერები;<br>ფორმატზე ჩამოიწერება ყველა ის შეფასება, რომლებიც მოსწავლეებმა მიიჩნიეს მიზანშეწონილად, ხოლო შემდეგ ჯგუფიდან არჩეულ პრეზენტატორებს აღარ გაუჭირდებათ თანმიმდევრულად ისაუბრონ სიყვარულზე. | 15 წთ.<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>3 წთ |
| | მასწავლებელი მოსწავლეებს შეეკითხება, თუ რა გაუჭირდათ ამ საგაკვეთილო პროცესის დროს, რომელი აქტივობა იყო უფრო საინტერესო? რომელი უნარის | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | განვითარებაზე ისურვებდნენ მეტ მუშაობას? | | | | |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები :**

**ქართ.7, 1. მოსწავლეს შეუძლია საჯარო მოხსენების წარმოდგენა (ზეპირი გამოსვლა) კონკრეტული აუდიტორიის წინაშე კონკრეტული მიზნით. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის ამოცნობა გააზრება.**

- მკაფიოდ, ცხადად და გასაგებად აყალიბებს განსახილველი საკითხის არსს, პრობლემის განმსაზღვრელ ასპექტებს და საკუთარ მოსაზრებას;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს მხატვრული ნაწარმოებებიდან.

**შეფასება :**

**დანართი1**

**საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის რუბრიკა**

| კრიტერიუმები | 9-10 ქულა | 7-8 ქულა | 5-6 ქულა | 1-4 ქულა |
|---|---|---|---|---|
| ***მსჯელობაში მონაწილეობა და სათქმელის ლოგიკურად, ნათლად გადმოცემა*** | აქტიურად მონაწილეობს და ხშირად წარმართავს კიდეც საკლსო მსჯელობას.სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად; საკითხს აშუქებს ამომწურავად და თანმიმდევ-რულად; | ყოველთვის მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში და სათქმელს გადმოსცემს ნათლად, საკითხს აშუქებს თანმიმდევრულად<br><br>ყოველთვის მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში და | ხშირად მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში.საკითხს გადმოსცემს გასაგებად,თუმცა ხარვეზებით<br><br>ზოგ შემთხვევაში თავს არიდებს საკლასო | იშვიათად მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში. სათქმელის გადმოცემისას იყენებს მეტყველებისას დამაყოვნებელ ნაწილაკებს;<br><br>იშვიათად მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აქტიურად მონაწილეობს საკლსო მსჯელობისას. სათქმელს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად და თანმიმდევრულად; | ზოგჯერ სათქმელს გადმოსცემს არათანმიმდევრ-ლად; | მსჯელობაში ჩართულობას..საკითხს გადმოსცემს გასაგებად,თუმცა ხარვეზებით | უჭირს სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა; იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში. უჭირს სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა; საერთოდ არ მონაწილეობს საკლასო მსჯელობაში. უჭირს სათქმელის გადმოცემა; |

**დანართი 2.**

## მსჯელობის შეფასების რუბრიკა

| კრიტერიუმები | 3 | 2 | 1 | 0 |
|---|---|---|---|---|
| **თემისა და პრობლემის განსაზღვრა** | სწორად განსაზღვრავს თემას და მიზანს; მსჯელობს პრობლემაზე; მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები; | არასრულფასოვნად, არგუმენტების გარეშე აყალიბებს თემას, მიზანს, თუმცა დამაჯერებლად საუბრობს პრობლემატიკაზე; | მინიშნებით დამოუკიდებლად შეუძლია რამდენადმე მიუახლოვდეს თემას | ვერ საზღვრავს კონკრეტულ თემატიკას და პრობლემას |

| კრიტერიუმები | 2 | 1 | 0 |
|---|---|---|---|
| **ციტატების ადეკვატურად გამოყენება** | მსჯელობისას ტექსტიდან ციტატებს იყენებს სწორად, ადეკვატურად. | მსჯელობისას ერთ შემთხვევაში ციტატა გაოიყენა არასწორად/არაადეკვატურად. | მსჯელობისას ერთზე მეტ შემთხვევაში ციტატა გაოიყენა არასწორად/არაადეკვატურად. |

| კრიტერიუმები | 2 | 1 | 0 |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| **საპრეზენტაციო უნარები** | იყენებს არავერბალური (ხმის ინტონაცია, ჟესტიკულაცია, მიმიკა) საშუალებებიდან რომელიმეს აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებლად | იყენებს არავერბალურ საშუალებებს აუდიტორიასთან ახერხებს კონტაქტის დამყარებას | ვერ ახერხებს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას |

| **კრიტერიუმები** | **3** | **2** | **1** | **0** |
|---|---|---|---|---|
| **წინადადების კონსტრუირება** | მეტყველებს გამართულად, აქვს მდიდარი ლექსიკა; იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს | მეტყველებს კარგად; იცავს მართლმეტყველების წესებს; მსჯელობის დროს უშვებს შეცდომებს | მეტნაკლებად გამართულად საუბრობს; იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს | არ იცავს მართლმეტყველების წესებს; უჭირს გამართულად საუბარი |

| შეფასების კრიტერიუმები | მაღალი დონე | საშუალოზე მაღალი დონე | საშუალო დონე | საშუალოზე დაბალი |
|---|---|---|---|---|
| ჯგუფში წევრების ჩართულობა | ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია მუშაობაში,ყველა | ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია მუშაობაში,თუმცა ყველა | უმეტესობა ჩართულია ჯგუფის მუშაობაში,დანაჩენები | მუშაობს მხოლოდ ერთი,დანარჩენები პასიური მსმენელები არიან |

| | თანაბრად ინაწილებს პასუხისმგებლობას | თანაბრად არ ინაწილებს პასუხისმგებლობას | მხოლოდ მსმენელები არიან | |
|---|---|---|---|---|
| თანამშრომლობა და კომუნიკაცია | გადანაწილებული აქვთ მოვალეობები, აქვთ ერთმანეთის მოსმენის უნარი, შეუძლიათ თანამშრომლობა | გადანაწილებული აქვთ მოვალეობები, ახერხებენ თანამშრომლობას | განაწილებული აქვთ მოვალეობები,თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებენ თანამშრომლობას | არ აქვთ თანამშრომლობის და კომუნიკაციის უნარი |

**ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმი**

**ხელმოწერა :**

**თარიღი :**

ლალი ხუციშვილი